ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2218096

ნომერი: AR1344668

თარიღი : 25.09.2015

გაცემის თარიღი : 30.09.2015

გაცნობის თარიღი : 30.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფოჩიანი პ/ნ 27001002771
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 18 ბ. 44

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შორის მიმდინარეობდა კომპლექსური მუშაობა ახალი საჯიხურე ადგილების მოსაძიებლად, რის შემდგომაც მთელი თბილისის მასშტაბით გამოცხადდა საჯიხურე ადგილებზე აუქციონი (რომელშიც ამ ეტაპზე დასრულდა) და ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო მონაწილეობის მიღება. ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული საპროექტო ჯიხურის განთავსების ადგილი არ წარმოადგენს ახალი აუქციონით დადგენილ ჯიხურების განთავსების ახალ ადგილს და შენობა-ნაგებობის განთავსება ხდება დაურეგისტრირებელ, თვითმმართველი ერთეულის მიწის ნაკვეთზე, ასევე საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და საპროექტო ობიექტის განთავსება ხდება ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ზედ სამანქანო გზის სავალი ნაწილის მხარეს, რაც გამოიწვევს მანქანების თავისუფალი გადაადგილების შეფერხებას, გარდა ამისა მდებარეობს ჯიხურების შეზღუდვის ზონაში, შესაბამისად სამსახურს ამ კონკრეტულ ადგილზე დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.